CRRC-საქართველო

ანტიდასავლური რიტორიკა და ვიზუალური მანიპულაციები „ფეისბუქში"

ერთწლიანი მონიტორინგის მიგნებები

ბლოგი

2025

ბლოგი

ანტიდასავლური რიტორიკა და ვიზუალური მანიპულაციები „ფეისბუქში“:

ერთწლიანი მონიტორინგის მიგნებები

2025

ავტორი: მარიამ კობალაძე, უფროსი მკვლევარი

CRRC–საქართველო

1 ლიზიკო ქავთარაძის ქ. თბილისი, 0179, საქართველო

https://www.crrc.ge

crrc.georgia@crrccenters.org

ანგარიში მომზადდა პროექტის „ანტიდემოკრატიული პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლა ჩართულობის გზით“ ფარგლებში, რომელიც CRRC–საქართველოს მიერ შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) მხარდაჭერით განხორციელდა.

მასში გადმოცემული ინფორმაცია ეყრდნობა CRRC–საქართველოს კვლევის შედეგებს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) პოზიციას.

ანტიდასავლური რიტორიკა და ვიზუალური მანიპულაციები „ფეისბუქში“: ერთწლიანი მონიტორინგის მიგნებები

როგორია ანტიდასავლური შინაარსის გამავრცელებელი „ფეისბუქ“ გვერდებისა და ჯგუფების რიტორიკა? რამდენად შეიცავს ყალბ ინფორმაციას ან ინფორმაციის მანიპულაციის სხვადასხვა ტექნიკას? ამ კითხვებზე პასუხს „ფეისბუქის“ ერთწლიანი მონიტორინგი გვაძლევს, რომელიც CRRC–საქართველომ შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით ჩაატარა. პროექტის „ანტიდემოკრატიული პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლა ჩართულობის გზით” ნაწილი იყო კვლევა, რომელიც 16 შერჩეულ გვერდსა და ჯგუფში 2024 წლის 29 ნოემბრიდან 2025 წლის 29 ნოემბრამდე პერიოდში გავრცელებული პოსტების შერჩეულ რაოდენობას აანალიზებდა და ანტიდასავლური ნარატივების იდენტიფიცირებას ახდენდა, მათში ნახსენებ აქტორებსა და ინფორმაციის გამავრცელებლებს სწავლობდა. საერთო ჯამში, კვლევის ფარგლებში სიღრმისეულად გაანალიზდა 4,017 პოსტი.

კვლევა მოიცავდა როგორც ქართულენოვან (მათ შორის ცალკე აჭარის რეგიონზე ფოკუსირებულ), ასევე აზერბაიჯანულ და სომხურენოვან სეგმენტებს. თუმცა, კვლევის შედეგების მიხედვით, ქართულენოვანი აუდიტორიისთვის განკუთვნილ გვერდებსა და ჯგუფებზე მეტად იყო ინფორმაციის მანიპულაციის სხვადასხვა ტექნიკის, მათ შორის ფოტო და ვიდეო მანიპულაციების შემთხვევები, შესაბამისად, ეს ბლოგიც ყურადღებას ქართულენოვანი აუდიტორიისთვის განკუთვნილ გვერდებსა და ჯგუფებზე ამახვილებს (10 გვერდი და ჯგუფი).

კვლევაში გამოვლენილი საერთო ტენდენციის შესაბამისად, ქართულენოვან გვერდებზე ცალსახად ყალბი ინფორმაცია მხოლოდ პოსტების 2%–ის შემთხვევაში იყო მოცემული. ასეთ პოსტებს უმეტესად უკვე ჰქონდათ მითითება, რომ პოსტები შემოწმებულია მესამე მხარის მიერ და მასში მოცემული ინფორმაცია სარწმუნო არ არის. თუმცა, ყალბი ინფორმაციის მიღმა, პოსტების მნიშვნელოვანი ნაწილის შემთხვევაში (47%) რთული იყო იმის შეფასება, რამდენად სარწმუნოა მასში გადმოცემული ინფორმაცია, რადგანაც ეს პოსტები ინფორმაციით მანიპულაციის გარკვეულ ფორმას წარმოადგენდა:

1. სინამდვილის ნაწილობრივი წარმოდგენა
2. კონტექსტის დამახინჯება ან ამოგლეჯილი ციტატები
3. განზოგადება ერთეული შემთხვევიდან
4. კონსპირაციული ნარატივის ჩარჩოში მოქცევა
5. მოსაზრების ფაქტად წარმოდგენა
6. იარლიყების მიწებება და დაცინვა.

იარლიყების მიწებება, დაცინვა და დამცირება ხშირად ფოტო და ვიდეო მანიპულაციით კეთდებოდა, მათ შორის ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით.

შერჩეულ ქართულენოვან „ფეისბუქ“ გვერდებსა და ჯგუფებში გაანალიზებული პოსტების ნახევარზე ოდნავ ნაკლებს (47%) ჰქონდა ფოტო ან ვიდეო. ფოტოების შემთხვევაში 6% მანიპულაციური იყო, ვიდეოების შემთხვევაში – 21%. ვიდეოებში მანიპულაციის მაღალი მაჩვენებელი (მეხუთედზე მეტი) მიზანმიმართულ ვიზუალურ სტრატეგიაზე მიუთითებს და ხშირად ვიზუალური მასალა გამოიყენება არა ინფორმაციის გადმოსაცემად, არამედ ემოციური რეაქციის გამოსაწვევად. ეს უკანასკნელი კარგად აიხსნება იმით, რომ ვიზუალური (ფოტო და ვიდეო) მანიპულაციის შემთხვევაში პოსტების თემა თითქმის ყოველთვის იყო პროდასავლური პროტესტი ან საქართველოს შიდა პოლიტიკა / პოლიტიკური პარტიები. ეს მანიპულაციები პროტესტისა და მისი აქტივისტების, ან ოპოზიციური პარტიებისა და პოლიტიკოსების დასაცინად და დასაკნინებლად გამოიყენებოდა (იხ. პოსტების ფოტოები ნიმუშად).



ცალკე აღნიშვნის ღირსია ფოტო და ვიდეო მანიპულაციების დროს ხელოვნური ინტელექტის გამოყენება, რაც მონიტორინგის ერთწლიანი პერიოდის განმავლობაში დროის გასვლასთან ერთად გახშირდა და თუკი მონიტორინგის პირველ თვეებში სულ ერთი შემთხვევა დაფიქსირდა, მონიტორინგის ბოლო თვეებში რვამდე გაიზარდა. ხელოვნური ინტელექტით შექმნილი მასალის ზრდა ტექნოლოგიური ინსტრუმენტების ადაპტაციასა და მანიპულაციური ფორმების ევოლუციაზე მიუთითებს.

ხელოვნური ინტელექტით შექმნილი ვიზუალური მასალის შემთხვევაში მხოლოდ იშვიათად იყო მინაწერი, რომ ეს ფოტო/ვიდეო შექმნილია ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით. თუმცა, ეს მინაწერი მცირე ზომის ინგლისურენოვანი წარწერა იყო, რაც შესაძლოა, ბევრ მომხმარებელს ვერც დაენახა ან ვერ გაეგო. ხელოვნური ინტელექტით შექმნილი ფოტო და ვიდეო მასალა კვლავაც ეხებოდა პროტესტს ან ოპოზიციონერ პოლიტიკოსებს, იშვითად – უკრაინის პრეზიდენტ ზელენსკის.

ვიზუალური მანიპულაციების გამოყენების მხრივ, ყველაზე აქტიური იყო მონიტორინგის ქვეშ მყოფი შემდეგი გვერდები: „არ აგარევინებთ“, „შიგ ევროპაში“, რომელიც, მოცემული მდგომარეობით, გაუქმებულია, „Gogaggg“, „POSTV – ანალიტიკა“, „ანტი–მაიდანი“, რომელიც ასევე გაუქმდა მონიტორინგის პერიოდში, „პატრიოტული გვერდი“ და „ლიდერი 41“.

„ფეისბუქის“ შერჩეული გვერდების/ჯგუფების ერთწლიანი მონიტორინგის შედეგები აჩვენებს, რომ ქართულენოვან ანტიდასავლურ სეგმენტში ღიად ყალბი ინფორმაცია შედარებით იშვიათია, თუმცა, ფართოდ არის გავრცელებული ინფორმაციის მანიპულაციის სხვადასხვა ფორმა, განსაკუთრებით ვიზუალური კონტენტის გამოყენებით. ფოტო და ვიდეო მასალა, მათ შორის ხელოვნური ინტელექტით შექმნილი გამოსახულებები, სისტემატურად გამოიყენება პროდასავლური პროტესტისა და ოპოზიციური აქტორების დისკრედიტაციისთვის. ეს მიუთითებს იმაზე, რომ დეზინფორმაციული ეკოსისტემა უფრო მეტად ეყრდნობა კონტექსტის დამახინჯებასა და ემოციური ზემოქმედების ინსტრუმენტებს, ვიდრე პირდაპირ სიცრუეს, რაც მსგავსი შინაარსის ამოცნობას და კრიტიკულ შეფასებას კიდევ უფრო ართულებს.